საფინანსო პროდუქტის უზრუნველყოფის საგნის - მზის პანელის დაზღვევის მინიმალური მოთხოვნები:

ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, საფინანსო პროდუქტის მისაღებად/შენარჩუნებისთვის იპოთეკის და/ან გირავნობის საგნის დაზღვევა აუცილებელია.

მომხმარებელი უფლებამოსილია, დაზღვევის პოლისი წარმოადგინოს ნებისმიერი სადაზღვევო კომპანიიდან. ასეთ შემთხვევაში, დაკმაყოფილებული უნდა იყოს ყველა შემდეგი პირობა:

1. დაზღვევის პოლისის გამცემ სადაზღვევო კომპანიას (მზღვეველს) კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია;

2. დაზღვევის პოლისში უზრუნველყოფის საგნის დაზღვევის ერთადერთ მოსარგებლედ (ბენეფიციარად) მითითებული უნდა იქნას სს პროკრედიტ ბანკი, თანადაფინანსებით გაცემული სესხის უზრუნველყოფის საგნის დაზღვევის შემთხვევაში შესაძლებელია იყოს გერმანიის პროკრედიტ ბანკიც;

3. შესაძლებელია დაზღვევის პოლისი წარმოდგენილი იყოს განსაზღვრული ვადით, მაგრამ სავალდებულოა ყოველი ვადის გასვლამდე 3 (სამი) დღით ადრე განახლდეს და მოქმედი იყოს მომხმარებელსა და ბანკს შორის გაფორმებული საფინანსო პროდუქტის მოქმედების ვადის განმავლობაში;

4. დაზღვევის პოლისი უნდა ითვალისწინებდეს მზღვეველის მიერ ბანკის (მოსარგებლის) შეტყობინების ვალდებულებას, სადაზღვევო პრემიის გადახდის ვადაგადაცილებისა და პოლისის ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის თაობაზე.
აღნიშნული მიზნით ბანკის საკონტაქტო ინფორმაციაა:

   - მის: ალ. ყაზბეგის გამზ. 21, 0160 თბილისი, საქართველო; ან
   - ელ. ფოსტა: Geo.info.insurance2@procredit-group.com

5. დაზღვევის პოლისში მითითებული უნდა იყოს დაზღვეული ქონების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები და ქონების სადაზღვევო ღირებულება;

6. დაზღვეული უნდა იყოს სესხის უზრუნველსაყოფად დატვირთული მზის პანელი, მოწყობილობა, ყველა დამხმარე და აუცილებელი შემადგენელი ნაწილის ჩათვლით, რომელიც მზის სხივების საშუალებით წარმოქმნის ელექტროენერგიას, ანუ გამოიმუშავებს ელექტროენერგიას ფოტოელექტრული ეფექტის საშუალებით.

7. დაზღვევის პოლისი უნდა ითვალისწინებდეს უზრუნველყოფის საგნის დაზღვევას ქონების საბაზრო ღირებულებით. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის დროს, ზიანის ოდენობის დაანგარიშება უნდა მოხდეს ქონების საბაზრო ღირებულების შესაბამისად.

8. დაზღვევის პოლისის მიხედვით, სადაზღვევო ანაზღაურების მიმღები უნდა იყოს ბანკი, სადაზღვევო ანაზღაურება უნდა მოხდეს ფულადი ფორმით:
   ა) აღდგენა-შეკეთების ხარჯების ანაზღაურება;

   ბ) ზიანის ოდენობის ანაზღაურება.

   სადაზღვევო ანაზღაურება განადგურებული ქონების ანალოგიურით შეცვლით, შესაძლებელია მხოლოდ ბანკის (მოსარგებლის) წინასწარი თანხმობის შემთხვევაში.

9. **მზის პანელის** დაზღვევა უნდა განხორციელდეს შემდეგი სადაზღვევო რისკებისგან:
   - ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა, საჰაერო ხომლდის ან მათი ნაწილების ვარდნა;
   - შტორმი, ქარიშხალი, სეტყვა, მეწყერი, ქვის ცვენა, თოვლის სიმძიმე, წყალდიდობა;
   - წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემიდან გამონადენი წყლით პირდაპირი დაზიანება, წყლის, ზეთის ან ნავთობის საქვაბეებიდან ან მილებიდან ამოხეთქვა ან გამოჟონვა;
   - მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ვანდალიზმი, ქურდობა ან ქურდობის მცდელობა, ძარცვა, ყაჩაღობა, სატრანსპორტო საშუალებების შეჯახება;
   - მიწისძვრა.

თუ საფინანსო პროდუქტის მისაღებად/შენარჩუნებისთვის მომხმარებელი წარადგენს სადაზღვევო პოლისს, რომელიც არ დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ ყველა პირობას, ბანკი უფლებამოსილი იქნება არ მიიღოს სადაზღვევო პოლისი.